თავდასხმა უცენტროდ

სტალინგრადის ფეხბურთელთა კოლექტივს “ტრაქტორს” არაერთგზის მიუყენებია უსიამოვნებანი საბჭოთა ფეხბურთის ლიდერებისათვის, მაგრამ სტალინგრადელების შეხვედრა თბილისის დინამოელებთან, რომელიც ჩატარდა 24 სექტემბერს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე, სხვა მხრივაც იყო საინტერესო. სტალინგრადელები ცდილობდნენ, რაც შეიძლება რეალური გაეხადათ თავიანთი პრეტენზიები მე-5, მე-6 ადგილებზე.

თამაშის პირველი წუთებიდანვე მოედანზე საინტერესო და მწვავე მომენტებით აღსავსე ბრძოლა გაჩაღდა. მე-7 წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე იქმნება სახიფათო მდგომარეობა, მაგრამ პანიუკოვი ოსტატურად იგერიებს ბურთს და აწვდის გ. ჯეჯელავას. ეს უკანასკნელი კი ღოღობერიძეს, რომლისგანაც ბურთს იღებს ს. ჯეჯელავა, ძლიერი გარტყმა... ბურთი შემთხვევით ხვდება სტალინგრადელ დამცველს და გადადის კორნერში.

ერთი წუთის შემდეგ სტუმრების მარცხენა გარემარბის პაპკოვის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ოდნავ სცდება თბილისელთა კარს. შეტევას კვლავ თბილისელები აწარმოებენ. მე-15 წუთზე ანთაძეს საჯარიმო მოედნის ხაზიდან 3-4 მეტრის დაშორებით სტალინგრადელები სარმით უმასპინძლებიან, ინიშნება ჯარიმა. სტუმრებმა თითქოს გაუვალი კედელი აღმართეს ს. ჯეჯელავას წინ, მაგრამ მან მაინც მონახა “ფანჯარა”. დარტყმა... და თბილისელ დინამოელთა ფარზე აღიმართა ციფრი “1”. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

თამაშის მეორე ნახევარში სტალინგრადელებმა შესცვალეს ტაქტიკა. სიმძიმის ცენტრი გადაიტანეს მარჯვენა ფრთაზე, სადაც გამოირჩეოდა მეტად სწრაფი შვედჩენკო.

... ბურთი თბილისელთა ნახევარზეა, სტალინგრადელებმა გაითამაშეს მეტად ლამაზი კომბინაცია, რომელიც ბრწყინვალედ დაასრულა შვედჩენკომ: ძლიერად დარტყმული ბურთი თბილისელ ნაუმცევს მოხვდა და მეკარისათვის მოულოდნელად კარის მარჯვენა კუთხეში შეიჭრა. მოსალოდნელი იყო, რომ თბილისელები ამ მარცხს ენერგიული კონტრშეტევით უპასუხებდნენ, მაგრამ ამაოდ, თბილისელი თავდამსხმელები განსაკუთრებით გ. ჯეჯელავა, მახარაძე და ანთაძე რატომღაც მოდუნდნენ.

მხოლოდ თამაშის დასასრულს ამოძრავდნენ თბილისელები, მაგრამ უკვე გვიან იყო. ამრიგად, ანგარიში 1:1 არ შეცვლილა თამაშის ბოლომდე. ახალგაზრდა ფეხბურთელის რ. მახარაძის თამაში ცენტრში გაუმართლებელი აღმოჩნდა. მან თავდასხმა ვერ წარმართა. თბილისელთა თავდასხმა უცენტროდ დარჩა.

გ. მახარაძე.
“ახალგაზრდა კომუნისტი”, 25 სექტემბერი, 1947 წ.